ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა
G E O R G I A
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ22. 222516310**

თარიღი:**12/06/2025**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია წესით საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის,35–ე მუხლის, ამავე კანონის 126^1-ე მუხლის მე–5 ნაწილისა და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე,54-ე და 57-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.2025 წლის 12 ივნისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დანართის №1-ის შესაბამისად.

2.კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს საკონკურსო კომისიამ, ხოლო ვაკანტური თანამდებობის თაობაზე შეტყობინების მომზადება და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელმა.

3.ბრძანება საჯაროდ–გამოქვეყნდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრირებულ ვებგვერდზე WWW.zestafoni.gov.ge - ზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი, წ ე რ ე თ ლ ი ს ქ.N11, ტ ე ლ: (492) 252626, 252766
ZESTAFONI.MUNICIPALITY@GMAIL.COM